ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №62

09.10.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ვიტალი ონიანი - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0325272109-03; 29.09.2025).

მომხსენებლები:

- **სერგო ბირკაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ნინო ვარდოსანიძე** - თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის სხდომა გაიმართა თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, განათლებისა და კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა, წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0325272109-03; 29.09.2025):

ს. ბირკაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №1098 განკარგულებისა და „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №1173 განკარგულების შესაბამისად, მტკიცდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 1 წლის ვადით, მუნიციპალიტეტს, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, გადასცემს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებას, ხოლო მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით მასზე დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 23 ივლისიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0325272109-03; 29.09.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე